ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 41 26/12/2019

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2019 წელში

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა - შეფასების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2019 წელში (ნოემბრამდე პერიოდში) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეფასებულ იქნას დადებითად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე და დასრულებული პროექტების ნუსხა

№	მუნიციპალიტეტი	სოფელი	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება
1	ახალციხე	ურაველი	გარე განათების მოწყობა	18259.30
2	ახალციხე	წყორძა	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და წყლის გამანაწილებლის მოწყობა უჟანგავი ლითონით	16776.90
3	ახალციხე	ანდრიაწმინდა	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია და წყლის გამანაწილებელი უჟანგავი მილების მოწყობა.	23944.28
4	ახალციხე	ანდა	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია და წყლის გამანაწილებელი უჟანგავი მილების მოწყობა.	19540.11
5	ახალციხე	ჭაჭარაქი	სარწყავი და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	23306.94
6	ახალციხე	მინაძე	სარწყავი და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	23024.32
7	ახალციხე	დიდი პამაჯი	შიდა გზის რეაბილიტაცია	31756.61
8	ახალციხე	პატარა პამაჯი	არსებული სკვერის რეაბილიტაცია და თავშეყრის ადგილის მოწყობა	20684.96
9	ახალციხე	ორალი	სანიაღვრე არხის მოწყობა	19228.80
10	ახალციხე	ყულალისი	შიდა გზების რეაბილიტაცია	19250.00
11	ახალციხე	საძელი	სასელი წყლის სისტემისა და შიდა გზების რეაბილიტაცია	20588.15
12	ახალციხე	ხაკი	გარე განათების მოწყობა	9408.71
13	ახალციხე	წინუბანი	შიდა გზების რეაბილიტაცია	13150.00
14	ახალციხე	აბათხევი	გარე განათების გაგრძლება	13233.79
15	ახალციხე	ჯულღა	არსებული ხიდის რეაბილიტაცია	19409.29
16	ახალციხე	წყალთბილა	შიდა გზების რეაბილიტაცია	20268
17	ახალციხე	ნაოხრები	სკვერის მოწყობა	18121.17
18	ახალციხე	ზემო სხვილისი	ბუნებრივი და ხელოვნური სარწყავი სისტმის რეაბილიტაცია.	14836.82
19	ახალციხე	სხვილისი	სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	4099.79
20	ახალციხე	სხვილისი	სკვერის რეაბილიტაცია	11198.78
21	ახალციხე	სხვილისი	გარე განათების გაგრძელება	20608.92
22	ახალციხე	წირა	სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია	28194.33
23	ახალციხე	მიქელწმინდა	სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია	12600.00
24	ახალციხე	ანი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.	13220.56
25	ახალციხე	ჭვინთა	არსებული წისქვილის რეაბილიტაცია.	17608.11
26	ახალციხე	ელიაწმინდა	არსებული წისქვილის რეაბილიტაცია.	17405.10
27	ახალციხე	გიორგიწმინდა	სასაფლაოს გზის მოხრეშვა	22234.57
28	ახალციხე	ფერსა	სასაფლაოს გზის მოხრეშვა	3251.33
29	ახალციხე	ფერსა	სასაფლაოსთან საზოგადოებრივი საპირფარეშოს აშენება;	9900.00
30	ახალციხე	ფერსა	სამეურნეო შენობის აშენება	9200.00
31	ახალციხე	მუგარეთი	სოფლის სახლის რეაბილიტაცია	23805.63
32	ახალციხე	კლდე	3 ერთეული მოსაცდელის მოწყობა	21914.30
33	ახალციხე	წნისი	სოფ. წნისში მდ. მტკვარზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია	31023.99

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე და დასრულებული პროექტების ნუსხა

№	მუნიციპალიტეტი	სოფელი	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება
34	ახალციხე	გურკელი	გარე განათების მოწყობა	11356.15
35	ახალციხე	წინუბანი	გარე განათების მოწყობა	21864.62
36	ახალციხე	აგარა	სასმელი წყლის რეზერვუარის და შიდა ქსელის რეაბილიტაცია	22845.64
37	ახალციხე	საყუნეთი	ცენტრალურ ქუჩაზე მილხიდის მოწყობა	31029.26
38	ახალციხე	ზიკილია	გარე განათების მოწყობა	13810.7
39	ახალციხე	აწყური	სასაფლაოსკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია	38738.25
40	ახალციხე	ტყემლანა	სასაფლაოსთან საზოგადოებრივი საპირფარეშოს აშენება.	11757.88
41	ახალციხე	ტყემლანა	სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია.	651.43
42	ახალციხე	ტყემლანა	სამეურნეო შენობის აშენება.	9060.76
43	ახალციხე	თისელი	გარე განათების მოწყობა	19203.30
44	ახალციხე	ხეოთი	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია	15075.47
45	ახალციხე	მუსხი	სოფლის საძოვრებზე პირუტყვისათვის დასაწყურებლის მოწყობა	20774.86
46	ახალციხე	ღრელი	სარწყავი არხის რეაბილიტაცია და სოფლის გარე განათების გაგრძელება	23175.64
47	ახალციხე	ხაკი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	9038.57
48	ახალციხე	წყრუთი	საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის ეზოს კეთილმოწყობა	38676.78
49	ახალციხე	სვირი	სასაფლაოზე სამეურნეო ნაგებობის აშენება და სასაფლაოს შებოღბვა	27153.82
50	ახალციხე	ზიკილია	საყრდენი კედლის მოწყობა	14579.47

ანგარიში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ
2019 წლის 01 იანვრიდან - 01 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ქ. ახალციხე **2019 წელი**

პატივცემულო საზოგადოებავ, ძვირფასო საკრებულოს წევრებო,
ქალბატონებო და ბატონებო

ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის 01 იანვრიდან - 01 ნოემბრამდე გაწეული სამუშაოს ამსახველი ანგარიში.

ვხელმძღვანელობდით რა საქართველოს კონსტიტუციით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით, საკრებულოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ, მისი თითოეული მოსამსახურის გვერდში დგომითა და თავდაუზოგავი შრომით შეძლო ღირსეულად ეპასუხა ყველა იმ გამოწვევისათვის, რომელიც დაგვისახა ჩვენმა მოსახლეობამ, იმ რეალობამ, სადაც ყოველდღიურად გვიხდება ყოფნა.

ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ხალხია. გადაწყვეტილების მიღების დროს სწორედ მოსახლეობის აზრია უმნიშვნელოვანესი. მერიის თითოეული ნაბიჯი შესაბამისობაშია მოსახლეობის ინტერესებთან. მუნიციპალიტეტის მერია მიმართავს ყველა ძალისხმევას, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს, თუ რას აკეთებს იგი, რა პროექტები იგეგმება და ხორციელდება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მერია აწყობს შეხვედრებს მოსახლეობასთან. ჩვენ მივდივართ ყველა სოფელში, ქალაქის ყველა ქუჩაზე, რათა მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრების დროს უკეთ გავიგოთ მათთვის პრიორიტეტული საკითხები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სწორედ მოსახლეობის მიერ გამოთქმულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით იგეგმება.

კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიურობა, ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება - ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლითაც მუნიციპალიტეის ხელმძღვანელობს. სწორედ ამ პრინციპების დაცვითა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულებით იწყება თითოეული სამუშაო დღე.

ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის დაცვამ, რომელიც გულისხმობს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთ ორგანიზმად არსებობას, ჩამოაყალიბა ეფექტური მენეჯმენტი და საფუძველი ჩაუყარა სწორ ადმინისტრირებას.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს რეაგირებას მოქალაქეთა მომართვებზე. მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრულია მოქალაქეთა მიღების კონკრეტული დღეები, მუნიციპალიტეტის მერი და სრული კოლექტივი ყოველდღიურად ახდენს რეაგირებას მოქალაქეების მხრიდან შემოსულ ზეპირ და წერილობით მომართვებზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული წყობა, მისი საქმიანობის მიმართულებები მაქსიმალურადაა მორგებული ჩვენი მოსახლეობის ინტერესებს. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც-ერთი სფერო, სადაც კი იკვეთება ჩვენი მოსახლეობისთვის საჭირბოროტო საკითხები.

მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს მედია და არასამთავრობო სექტორებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან. ჩვენ გაგვაჩნია მუდმივი მზაობა, ვიქონიოთ კომუნიკაცია და თანამშრომლობა ყველა იმ ორგანიზაციასთან, თუ კერძო პირთან, ვინც მზადაა ჩვენთან ერთად უკეთესობისკენ შეცვალოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიური სტატუსი. თავის საქმიანობაში, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია აბსოლუტურად გამჭვირვალეა და ეს ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

მუნიციპალიტეტის მერია აერთიანებს მერს, მერის პირველ მოადგილეს, მერის ორი მოადგილეს და 9 სტრუქტურულ ერთეულს, რომლებიც თავისი ფუნქციურ დანიშნულებათა მიხედვით, ახორციელებენ დაკისრებულ მოვალეობებს.

წარმოგიდგენთ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალი თითოეული სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობას საანგარიშო პერიოდში.

ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური შედგება 8 განყოფილებისაგან, ესენია:

- საქმის წარმოების განყოფილება;
- ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
- საორგანიზაციო განყოფილება;
- საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება;
- ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება;
- სოციალურ საკითხთა განყოფილება;
- გენდერული თანასწორობის განყოფილება;
- იურიდიული განყოფილება.

მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური, აღნიშნული განყოფილებების მეშვეობით უზრუნველყოფს შემოსული განცხადებებისა და წერილების სათანადოდ გაფორმებას, მათ გადაცემას შემსრულებლისათვის, შემდგომში კი _ დოკუმენტის შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას, ასევე მუნიციპლიტეტის მერიიდან გასული დოკუმენტაციის სათანადოდ აღრიცხვასა და ადრესატისათვის დროულ გაგზავნას. სამსახურის მთავარი ამოცანაა ადამიანური რესურსების მართვა, საკადრო საკითხები, ჯანდაცვა და სოციალური საკითხები, მერიის მხრიდან საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობა, იურდიული, გენდერული და საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა .

საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 10 199 სხვადასხვა კორესპონდენცია, მათ შორის:

ფიზიკური პირის განცხადება	-	3 493
ორგანიზაცია/დაწესებულებები	-	6 706

მომზადებული და ადრესატისთვის გადაგზავნილია- 7 652 სხვადასხვა სახის კორესპონდენცია და 4 710 მოხსენებითი ბარათი.

2019 წლამდე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური, მოქმედი კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტის მერიის დებულების, ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურის დებულების და სხვა სამართლებრივი

აქტების შესაბამისად ახორციელებდა კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას. შესასრულებლად გადმოცემული დოკუმენტეზე რეაგირება განხორციელდა დადგენილი წესით – ვადების სრული დაცვით. აღნიშნული სამსახურის მეშვეობით ასევე განხორციელდა 2 289 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადება/პროექტის განხილვა და შესაბამისი ვიზირება, განხორციელდა 57 ხელშეკრულების მომზადება და განხილვა. სისტემატიური ხასიათით მიმდინარეობდა კონსულტაციების გაწევა მოქალაქეთათვის იმ ძირითადი მიმართულებით როგორიცაა უძრავი ქონების რეგისტრაცია. ხდებოდა ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციების გაცემა და შესაბამისი დოკუმენტების შეგროვებაში ხელშეწყობა, რამაც მოქალაქეებს გაუმარტივა მათ მიერ მოთხოვნილი განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

სამსახურის მეშვეობთ განხორციელდა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში ცვლილებების შეტანა და მათი მოქმედ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, ისევე როგორც მუნციიაპლიტეტის სამოქმედოდ საჭირო სხვა არაერთი ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და მათი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

საანგარიშო პერიოდში 40 (ორმოცი) სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, რომელთა დასრულებაც მოხდა როგორც მხარეთა მორიგებით, ისე მერიის სასარგებლოდ სარჩელის ნაწილობრივ და სრული დაკმაყოფილებით.

მუნიციპალიტეტმა საკუთარი უფლებამოსილებებიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულად გამოყო სამოქმედო ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, შემუშავებული იქნა **„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“**, რომელიც ძირითად სამოქმედო დოკუმენტად იქცა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებისათვის. აღნიშნული განყოფილებების მიერ დამუშავებული საკითხების განხილვა ხდებოდა **„ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების მიზნობრივად გაცემის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის“** მიერ.

სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად **17 958-მა** ბენეფიციარმა მიიღო 829 360 ლარის ლარის ოდენობის დახმარება.

შემდეგი მიმართულებებით:

ღონისძიების დასახელება	
ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებების დაფინანსება	**1 134 ბენეფიციარი**
	422 450 ლარი
ა.ა.ი.პ სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა სწავლის გადასახადის დაფინანსება	**245 ბენეფიციარი**
	24 235 **ლარი**
ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	**412 ბენეფიციარი**
	59 950 ლარი
სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ	**19 ბენეფიციარი**

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურეობა	**4 750 ლარი**
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში მეწყერის შედეგად დაზარალებულ უსახლკაროთათვის ყოველთვიური სოціალური დახმარება	**6 ბენეფიციარი** **9 000 ლარი**
ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შშმ პირთა სოციალური დახმარება	**273 ბენეფიციარი** **63 850 ლარი**
ხანძრით დაზარალებულ ოჯახთა დახმარება	**11 ბენეფიციარი** **13 950 ლარი**
დევნილთა და იძულებით გადაადგილებული პირთა დახმარება (სასურსათო პაკეტი)	**97 ბენეფიციარი** **7 275 ლარი**
შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარება სასურსათო პაკეტებით	**267 ბენეფიციარი** **31 765 ლარი**
დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება	**2 ბენეფიციარი** **2 000 ლარი**
ვეტერანთა სოციალური დახმარება	**34 ბენეფიციარი** **17 600 ლარი**
ჰემოდიალიზით მოსარგებლეთა სოციალური დახმარება	**23 ბენეფიციარი** **17 250 ლარი**
უხუცესთა სოციალური დახმარება	**1 ბენეფიციარი** **500 ლარი**
შშმ ბავშვთა სოციალური დახმარება	**89 ბენეფიციარი** **35 700 ლარი**
უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება	**7 ბენეფიციარი** **3 500 ლარი**
ბინის ქირით უზრუნველყოფა	**2 ბენეფიციარი** **1 675 ლარი**
უფასო სასადილოს მომსახურება	**196 ბენეფიციარი** **96 260 ლარი**
ქ. ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის თანადაფინანსება	**15 140 ბენეფიციარი** **17 650 ლარი**

სულ ჯამი	
ბენეფიციართა რაოდენობა	**17 958**
დაფინანსების მოცულობა	**829 360 ლარი**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მართვის მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეულს. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთება, მიღებული ბიუჯეტის შესრულება, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი, მიზანშეწონილი და ეფექტიანი გამოყენება და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების უზრუნველყოფა,

როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა არსებული ფინანსები, რომლის გამოყენებითაც უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რაც საწინდარი გახდება ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკის გაძლიერებისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის.

2019 წლის დასაწყისში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 15 900,0 (თხუთმეტი მილიონ ცხრაასი ათასი) ათასი ლარი. 2019 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით კი 31 131,463 (ოცდათერთმეტი მილიონ ასოცდათერთმეტი ათას ოთხასსამოცდასამი) ათასი ლარია იგი.

2019 წლის 01 ნოემბრისათვის ბიუჯეტიდან სულ გაიხარჯა 20 376,8 (ოცი მილიონ სამას სამოცდათექვსმეტი ათას რვაასი) ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით 7 654,6 (შვიდი მილიონ ექვსას ორმოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12 722,2 (თორმეტი მილიონ შვიდასოცდაორი ათას ორასი) ათასი ლარი.

აღნიშნულ პერიოდში ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაციისთვის სულ გაიხარჯა 11 175,1 (თერთმეტი მილიონ ასსამოცდათხუთმეტი ათას ასი) ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7 696,2 (შვიდი მილიონ ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ორასი) ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 3 478,9 (სამი მილიონ ოთხას სამოცდათვრამეტი ათას ცხრაასი) ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტში განათლებისთვის გაიხარჯა 2 750,7 (ორი მილიონ შვიდასორმოცდაათი ათას შვიდასი) ათასი ლარი; კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობის და სპორტისთვის სულ გაიხარჯა 1 653,7 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაცამეტი ათას შვიდასი) ათასი ლარი; ხოლო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გაიხარჯა 1 057,2 (ერთი მილიონ ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორასი) ათასი ლარი.

ეკონომიკური სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახური უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას და მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

სამსახური შეიმუშავებს პროექტებს მერიის მიერ ინვესტიციების მოზიდვის, გარემოს დაცვითი, მუნიციპალიტეტის ტერიტირიაზე მყარი ნარჩენების დასუფთავების საკითხების შესახებ. რეაგირებს მოსახლეობის მხრიდან შემოსულ განცხადებებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების სტატუსის, საშეშე მერქნის გამოყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სამსახური ახორციელებს რიგ მუნიციპალურ სერვისებზე მოსაკრებლების სახეობის შემუშავებას და შემოსული თანხების მობილიზებას. ეკონომიკური სამსახური ყოველწლიურად აახლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების

ბაზებს. მიმდინარე წელს სხვადასხვა დანიშნულებისათვის მოთხოვნილ იქნა 22 ერთეული უძრავი ქონება, ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტზე რეგისტრირებულია 17 ერთეული, დანარჩენ ქონებაზე მიმდინარეობს დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაზე მუშაობა. უძრავი ქონების გარდა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა 2 ერთეული სპეც ტექნიკა (გრეიდერი, დამტვირთველი), და 200 ერთეული ნაგავშემკრები ურნა. ამასთანავე მოხდა 1100 ლიტრიანი პლასტმასის 150 ერთეული და 40 ლიტრიანი 80 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა;

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ მოხდა „ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, დადგენილების პროექტის მომზადება და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცება. ასევე მოხდა საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალის (ნუსხის) მომზადება, რომელიც განკარგულების პროექტიც წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად და შესაბამისი წესით, კერძოდ ელექტრონული აუქციონის წესით, მოხდა სამი ფართის გასხვისება. შემოსული განცხადებების შესაბამისად კი პირდაპირი განკარგვის წესით, ადგილზე შესწავლილ იქნა ობიექტები და 7 იურიდიულ პირზე, საკრებულოს თანხმობით, მიწის ფართები გაცემულ იქნა იჯარის წესით, რომლებიც დადგენილი წესით იხდიან ყოველთვიურ გადასახადს.

მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, არსებული წესის მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა 13 ბინის პრივატიზაცია.

სამსახურმა უმოკლეს ვადებში შეძლო და განახორციელა ე.წ. სამხედრო ბინების აღწერა, ელექტრონული ბაზის შექმნა, მოხდა კლასიფიცირება პრივატიზებულ და არაპრივატიზებული ბინების, სადაც გამოიკვეთა, რომ 799 ბინიდან მხოლოდ 564 ბინა იყო პრივატიზებული, ხოლო 235 არაპრივატიზებული. მუნიციპალიტეტის შუალდგომლობით განხორციელდა აღნიშნული ბინების, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია, შემდგომში მოსარგებლე პირებისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. მოხდა სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრული მოთხოვნა/მოძიება და დღეის მდგომარეობით აღნიშნულის შესახებ შუამდგომლობის წერილი უკვე გადაგზავნილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

ამავე სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილ იქნა 122 ხელშეკრულების გაფორმება იურიდიულ პირებთან დასუფთავების მოსაკრებლის შესახებ. ადგილობრივ ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით შემოსულია 157 500 ლარი (გეგმა - 190000 ლარი), მათ შორის იურიდიული პირებიდან 141000, ხოლო ფიზიკური პირებიდან 16500 ლარი;

საანგარიშო პერიოდში მიწის იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 30900 ლარი, მაშინ როდესაც 2019 წლის გეგმა შეადგენდა 30000 ლარს.

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალური შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას, შესყიდვის პროცედურების კანონიერების დაცვას, კონკურენტული გარემოს შექმნას, შესყიდვების პროცესის გამჭირვალობას და მუნიციპალიტეტის მატერიალურ უზრუნველყოფას.

მოგახსენებთ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა, მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, საანგარიშო წლის პერიოდში, ჩაატარა **85 სატენდერო კომისია და გადაწყვეტილება იქნა მიღებული 166** ტენდერის გამოცხადების შესახებ, მათ შორის:

- ✓ 110 ტენდერზე გაფორმდა ხელშეკრულება;
- ✓ 6 ტენდერზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები;

- ✓ 50 ტენდერი დასრულდა სხვადასხვა სტატუსით (არ შედგა, შეწყვეტილი, დასრულდა უარყოფით შედეგით);

2019 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განისაზღვრა 22 016 417 ლარით, გეგმის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი შესყიდვები:

- ✓ 2018 წლის პროექტებიდან 2019 წელში გადმოვიდა 71 პროექტი -4 695 024 ღირებულებით
- ✓ 2018 წელში გაფორმდა 2019 წლის გეგმით გათვალიწინებული 11 ხელშეკრულება 1 412 686 ლარის ღირებულებით.
- ✓ დღეის მდომარეობით გაფორმებულია 342 ხელშეკრულება ღირებულებით 14 300 661 ლარი. მათ შორის:
    - ინფრასტრუქტურის განხრით: 156 ობიექტზე გაფორმდა ხელშეკრულება - 10 486 728 ლარის,
    - სოფლის პროგრამის ფარგლებში 54 პროექტი - 1 000 783 ლარის, ხოლო 3 ობიექტზე 145 518 ლარის ღირებულებით, მიმდინარეობს ტენდერით გათვალისწინებული პროცედურები.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური არის მუნიციპალიტეტის მერიის ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით–ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხების კოორდინაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის კეთილმოწყობაზე ზრუნვას.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის მხრიდან შემოსული წერილების განხილვა ადგილზე გასვლით და მოსახლეობის მიერ დასმული პრობლემების გადაწყვეტა, აღნიშნულ პერიოდში გაიცა 123 სანებართვო პირობა, მოხდა 41 ობიექტის ვარგისად აღიარება (ექსპლუატაცია) და 1 ობიექტის ლეგალიზება.

მიმდინარე წლის განმავლობაში ინსპექტირების ჯგუფი აქტიურად უწევდა ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით სამშენებლო ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოებს, ასევე სამსახურები კონტროლს უწევენ საზედამხედველო ორგანო შპს ,,ქრიზოლითი +“-ს მიერ ჩატარებულ სამუშაოებს.

საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც წინა წლებში, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ დიდი დრო დაეთმო და მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები, ასევე წლის დასაწყისში შემოწმებული და დაკორექტირებული იქნა საპროექტო ორგანიზაციების მიერ გამზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები, რომელთა მიხედვითაც მოხდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ დაფინანსებული სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

ჩვენი სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტრენინგებზე, აღნიშნული ტრენინგებიდან მიღებული ცოდნა სპეციალისტებმა წარმატებით გამოიყენეს ყოველდღიურ სამსახურეობრივ საქმიანობის შესრულებაში, რამაც გაზარდა მუშაობის ხარისხი.

2019 წელს აქტიურად მიმდინარეობდა საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების, საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო გარე განათების ახალი ქსელები. ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

სამწუხაროდ მიმდინარე წელს არ ჩაუვლია სტიქიის გარეშე, მოსული წყალდიდობის შედეგად სოფელ ურაველში დაზიანდა ხიდი ხოლო ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხი. სტიქიით მიყენებული ზარალი დათვლილი იქნა უმოკლეს ვადებში და საპროექტო ორგანიზაციის მიერ მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები.

ზემოთაღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა დაფინანსების რვა წყარო, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს:

1) ადგილობრივი ბიუჯეტი - 2 529 331 ლარი.
2) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 6 480 406 ლარი.
3) სტიქიის პრევენციის ფონდი - 2 064 446 ლარი
4) ჯანდაცვა - 735 572 ლარი.
5) განათლება - 702 123 ლარი.
6) სტიქიის სალიკვიდაციო - 374 150 ლარი.
7) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 919 846 ლარი.
8) მთის ფონდი - 1 487 718

(წარმოდგენილ ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს, მუნიციპალიტეტის მხრიდან 2019 წელს შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია)

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

მოგახსენებთ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური მუშაობას წარმართავს წლის დასაწყისში დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით. გეგმა კი ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული, კულტურული და სპორტული მიმდიანრეობის განვითარებისაკენ.

სამსახურს, წინა წლებთან შედარებით, მუშაობის არეალი კიდევ უფრო გაეზარდა და ფართო მაშტაბები მიიღო, როგორც კულტურულმა, ისე სპორტულმა ღონისძიებებმა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, მოსახლეობის და მათ შორის ახალგაზრდების მზაობა, მუნიციპალიტეტის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებისა და ბიუჯეტირების პროცესში, მონაწილეობის მიღების შესახებ. კულტურის სამსახურმა შეიმუშავა და საკრებულოს მხრიდან დამტკიცებულ იქნა 2020-2022 წლის ახალგაზრდული

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, შემუშავდა შიდა სამოქმედო გეგმა ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ერთჯერადი ღონისძიებების ნაცვლად შემუშავდა გრძელვადიანი პროგრამები ახალგაზრდებისთვის (ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, მოხალისეობის პროგრამა, მეგობრებს+მეგობრები) რომლის შედეგებიც მაღალი ეფექტურობის მატარებელი იყო.

ახალციხის მუნიციპალიტეტი საანგარიშო პერიოდში გამოირჩეოდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის კუთხითაც. წელს მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, რამაც ხელი შეუწყო რეგიონში ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

გაუმჯობესებულმა პირობებმა ახალგაზრდებს გააქტიურების სტიმული მისცა. მათი უშუალო მონაწილეობით, კულტურის სამსახურის მიერ ჩატარდა მრავალი სხვადასხვა სახის ღონისძიება: ახალგაზრდული, სპორტული, კულტურული, ინტელექტუქლურ- შემეცნებითი. მოეწყო ექსკურსია-ლაშქრობები.

საანგარიში წლის პერიოდში ზემოხსენებული სამსახური უშუალო მონაწილეობით ჩატარდა:

- ✓ 29 ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიება - 39225,24 ლარი; - მონაწილეთა რაოდენობა თითქმის 4 000 თანამოქალაქე;
- ✓ 51 ღონისძიება სპორტის სხვადასხვა სახეობაში - 31143,5 ლარი ; - მონაწილეთა რაოდენობა - დაახლოებით 18 000 თანამოქალაქე;
- ✓ 34 კულტურული ღონისძიება - 107 101 ლარი; - მონაწილეთა რაოდენობა - დაახლოებით 10 000 თანამოქალაქე;

კულტურის სამსახურმა ჩატარებული ღონისძიებების საშუალებით შეძლო:

- წარმატებული ადამიანები კიდევ ერთხელ წარედგინა საზოგადოებისათვის და დაეფასებინა მათი ღვაწლი.
- შშმ პირებთან აქტიური ურთიერთობით, შეძლო მათ თავი ეგრძნოთ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.
- ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას.
- წარმატებულ ახალგაზრდებს სტიმული მისცა შემდგომი ნაყოფიერი საქმიანობისთვის

გარდა გეგმიური მუშაობისა, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ურთიერთთანამშრომლობით რეგულარულად ატარებდა სხვადასხვა სახის შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებს, როგორც სასკოლო, ასევე სკოლის შემდგომი ასაკის ახალგაზრდებისათვის ახალგაზრდული, კულტურული და სპორტული ღონისძიებების სახით.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

ჭაბუკთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა აღრიცხვა მომზადება და გაწვევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, რეზერვისტთა აღრიცხვა საკონტრაქტო სამსახურისათვის, დოკუმენტების მომზადება პირადი საქმეების შექმნა და შეარაღებულ ძალებში გაწვევა, აქტიური და სამობილიზაციო რეზერვის მომზადება... ეს ის ძირითადი მიმართულებებია რასაც ყოველდღიურად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური უზრუნველყოფს.

- საანგარიშო პერიოდში ჭაბუკთა პირველადი აღრიცხვისათვის, აღრიცხვაზე აყვანილ იქნა -222 ჭაბუკი.
- მიწერის მოწმობა გაიცა - 146 წვევამდელი.
- გამოძახებული იყო - 300 წვევამდელი საიდანაც გამოცხადდა - 252
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაირიცხა - 68 წვევამდელი.
- დაცვის პოლიციაში - 21 წვევამდელი.
- საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა - 13 წვევამდელი.
- გადავადება მიეცა - 150 წვევამდელს.
- შ.ს.ს. სპეც. აღრიცხვაზე აყვანილია - 6 წვევამდელი.
- ზღვრული ასაკით რეზერვში ჩაირიცხა - 84 წვევამდელი.
- სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია - 221 რეზერვისტი.
- სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილია - 100 რეზერვისტი.

მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა.

სამსახურის ყველა თანამშრომელი მობილიზებულია და ინტენსიურ მუშაობას ეწევა აღრიცხვაზე მყოფ წვევამდელებთან და რეზერვისტებთან, რათა სრულად დაკომპლექტდეს სამობილიზაციო თუ აქტიური რეზერვი და სრულფასოვნად იქნეს შევსებული წვევამდელთა გასაწვევი რაოდენობა.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

მიმდინარე წელს, 01 იანვრიდან - 01 ნოემბრამდე პერიოდში, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილების შესაბამისად შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის მე-3 მუხლის თანახმად დამტკიცებული შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2019 წლის წლიური გეგმის შესაბამისად, შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტის ჩატარება დაგეგმილი იყო შემდეგ პროგრამულ კოდებსა და ობიექტებთან:

- ✓ „ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ პროგ. კოდი 03 01;
- ✓ დასუფთავების ღონისძიებები, პროგ. კოდი 03 02 01;
- ✓ შპს კეთილმოწყობა;
- ✓ სახლებისა და სახურავების მოწყობა-რეაბილიტაცია, პროგ. კოდი 03 03 04;
- ✓ წყალსადენის და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, პროგ. კოდი 03 02 03;

- ✓ საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, პროგ. კოდი 03 03 01;

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გეგმით გათვალისწინებული ობიექტებისა და გათვალისწინებული პროგრამული კოდების შემოწმება. ჩატარებული აუდიტის ანგარიშებში მითითებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად კი აუდიტის ობიექტებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები:

აღნიშნული რეკომენდაციების ნაწილის გათვალისწინება აუდიტის ობიექტების მიერ განხორციელდა უშუალოდ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, ხოლო ნაწილი რეკომენდაციებისა შესრულება მოხდა აუდიტის ჩატარებიდან უმოკლეს ვადაში. ორგანიზაციის შემდგომ წარმატებით მუშაობაზე, აუდიტის ჩატარება მოქმედებს დადებითად. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ორგანიზაციის შიდა ფინანსური კონტროლის ეფექტურად წარმართვას.

დასკვნითი ნაწილი

ჩვენი მოსახლეობის მხრიდან გამოჩენილი მხარდაჭერა, ჩვენს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა, მერიის კვალიფიციური ადამიანური რესურსები, გვაძლევს იმის საფუძვლიან იმედს, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია მომავალში შეეჭიდება და დაძლევს უფრო დიდი და საპატიო სიმაღლეებს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის თითოეული თანამშრომელი მოწოდებულია, რომ ჩვენს მიერ გაცემული ყოველი დაპირება პრაქტიკულად იქნეს ხორცშესხმული ცხოვრებაში და მერიამ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, სამოქალაქო სექტორთან, სხვადასხვა პარტნიორთან ერთობლივი თანადგომით უკეთესობისკენ შეცვალოს ჩვენი მუნიციპალიტეტის აწმყო და უახლოესი მომავალი.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

დანართი

№	პროექტის დასახელება	ღირებულება
ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები		
1	ქალაქ ახალციხისა და მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზების შეკეთება (მოვლა-შენახვა II ეტაპი).	100,182
2	ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოები.	390,000
3	სოფელ ივლიტაში არსებული სპორტული მოედნის შემოღობვა.	38,990
4	სოფელ მუგარეთში ახალგაზრდული ცენტრის რეაბილიტაცია.	33,874
5	ქ. ახალციხეში ქუჩების რეაბილიტაცია (რუსთაველი, კეცხოველი,)მეორე ეტაპი	182,790
6	ქალაქ ახალციხეში, კოსტავას ქ. №165-179 კორპუსებს შორის სკვერის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა.	104,000
7	ქ. ახალციხეში (ქუჩებზე: ტაბიძე, სამსონიძე, ადიგენი, თამარაშვილი, გვარამაძე, მთაწმინდა და 9 აპრლის (სკვერი), ქალაქ ვალის მეორე შეხტის დასახლებაში და სოფლებში (ანდა, წყორძა, ახალშენის დასახლება, ანდრიაწმინდა) გარე განათების მოწყობა.	98,485
8	ქ. ახალციხეში კეცხოველის ქუჩა N 6-ში და თამარაშვილის ქუჩა N2 -ში არსებული ლიფტების რეაბილიტაცია.	36,140
9	სოფ. წყორძაში, ფერსაში გიორგიწმინდასა და ანდრაწმინდაში საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა	46,000
10	სოფ: ივლიტაში, წყრუთში, სვირსა და აწყურში საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა	47,400
11	სოფლებში (ანდა, წირა, თისელი, ფერსა, სვირი და ჭვინთა) მოსაცდელების მოწყობა.	43,568
12	სოფელ ურაველის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.	55,555
13	ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები.	36,888
14	სოფ. ურავლის შიდა გზის (გაგრძელება) რეაბილიტაცია.	46,879
15	წიქვაძის ქუჩაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების მოწყობა.	17,650
16	(ჭაჭარაქში, ღრელში, საძელში, მუსხში, ივლიტაში, ქალაქ ვალეში მეორე შახტის დასახლებაში, საყუნეთში და აგარაში) გარე განათების მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა.	128,986

17	სოფ.ფერსისა და ელიაწმინდის საბავშვო ბაღის ეზოებისათვის ატრაქციონების შესყიდვა, ტრანსპორტირებისა და მოწყობის უზრუნველყოფით.	37,900
18	ქ. ვალის კულტურის სახლის რეაბილიტაცია. (II ეტაპი)	260,517
1	ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (8 სართულიანი) ლიფტების დემონტაჟი და მონტაჟი.	157,200
2	სოფელ წინუბნის სკვერის მოწყობა.	16,890
3	სოფელ წინუბნის სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია და მაგისტრალის მოწყობა.	36,900
4	ქ. ახალციხეში ხელოვნურ ტბაზე არსებული ნავმისადგომის რეაბილიტაცია და ნავებისათვის ახალი მისადგომი ბაქნის მოწყობა.	21,242
5	ქ. ახალციხეში ხელოვნური ტბის მკვებავი მილსადენის სათავე-ნაგებობის მოწყობა.	44,862
6	სოფ. სხვილისის სარწყავი მილხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ბეტონის შეძენა.	5,992
7	სოფ. გიორგიწმინდის არსებული სპორტული მოედნის შემოღობვა.	40,000
8	სოფელ საყუნეთსა და წყრუთში რიტუალების სახლისა და სოფელ ტყემლანაში საწყურებლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მასალის შეძენა.	14,978
9	ქალაქ ახალციხეში ხელოვნური ტბის და 9 აპრილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების (თანმდევი მომსახურება - მონტაჟი და ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობა) მოწყობა.	38,609
10	ქალაქ ახალციხეში ხელოვნური ტბის სათავე ნაგებობის მოწყობა.	26,642
11	ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩა №4-ის და ასპინძის ქუჩა №38-ის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების მოწყობა.	36,998
12	სოფელი წყორძის სარწყავი სისტემის მოწყობა.	43,219
13	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის კაპიტალური შეკეთბისათვის საჭირო მასალის (მილების,გადასამბელი ქუროების და ცემენტის) შეძენა.	11,111
14	ახალციხის მუნიციპალიტეტისათვის სამშენებლო მასალის შეძენის უზრუნველყოფა.	5,222
15	სოფელ ურაველში შიდა გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა.	38,776

16	სოფელი საძელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	39,853
17	ხელოვნური ტბის და ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების (თანმდევი მომსახურება - მონტაჟი და ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობა) მოწყობა.	37,800
18	ქალაქ ახალციხეში ე.წ საბარგო სადგურის დასახლებაში და მიქუტიშვილის N10-ის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების (თანმდევი მომსახურება - მონტაჟი და ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობა) მოწყობის უზრუნველყოფა	37,795
19	ქ. ვალესა და სოფელ აწყურში გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების მოწყობა.	39,500
20	ქალაქ ახალციხეში კოსტავას ქ. №165-179 კორპუსებს შორის სკვერში და 9 აპრილის ქუჩაზე ცხრა სართულიან კორპუსებთან მიმდებარე ტერიტორიაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების მოწყობა.	41,439
21	ახალციხის მუნიციპალიტეტისათვის პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენის უზრუნველყოფა	88,500
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		
1	ქ. ახალციხეში ქუჩების რეაბილიტაცია (რუსთაველი, კეცხოველი,)	1,554,321
2	ქ. ახალციხეში N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.	499,999
3	ქ. ახალციხიხეში მესხეთის ქ.N9 და N11-ში, რუსთაველის ქ N22-ში, თაბუკაშვილის ქუჩა N40-ში და ივანე ახალციხელის ქუჩა N91-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებლების სახლების სახურავების რეაბილიტაცია.	111,900
4	ქ. ახალციხეში შოთა რუსთაველის ქ. N36-ში,ილია მართლის ქ. N22-ში და მერაბ კოსტავას ქ. N35-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.	34,764
5	ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩა №42-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.	18,999
1	ქ. ახალციხეში საცხოვრებელი სახლების (თამარაშვილის ქუჩა N7; თამარაშვილის ქუჩა N5; 9 აპრილის ქუჩა N3; ასპინძის ქუჩა N30) ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.	351,401

2	ქ. ახალციხეში საცხოვრებელი სახლების (რუსთაველის ქუჩა N95 და N105) ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.	282,990
3	სოფ. წინუბანისა და გურკელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	754,588
4	სოფ. ნაოხრების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	200,774
5	სოფ. ტყემლანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	424,161
6	სოფ. ზემო სხვილისის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	83,024
7	საცხოვრებელი სახლების (ასპიძის ქუჩის №38 და №42) ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	335,733
8	მაჭიხეთის წმ.მარიამის ეკლესიისაკენ მიმავალი გზის გადაკვეთიდან სოფელ ხეოთის სკოლამდე საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია.	486,722
9	ქ. ახალციხეში პ.ხარისჭირაშვილის ქუჩა №38-სა და გოგებაშვილის №7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლებისათვის სახურავების რეაბილიტაცია.	56,626
10	ქალაქ ახალციხეში ზარზმელის ქუჩის N2; N4; N6; N8; N10 და N13-ში, ადიგენის ქუჩის № 20-ში და ილია მართლის ქუჩის №10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხროვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.	170,157
11	ქალაქ ახალციხეში ზარზმელის ქუჩის №1; №3; №5; №7; №9 და №11 -ში, მესხეთის ქუჩის №20-ში და კანანელის ქუჩის №8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხროვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.	152,933
12	სოფ. ანდრიაწმინდა-ანდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	399,977
13	ქალაქ ახალციხეში საცხოვრებელი სახლების (ასპინძის ქუჩის №26 და რუსთაველის ქუჩის №95ა) ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	330,871
14	ქ. ახალციხეში საცხოვრებელი სახლების (9 აპრილის ქ. N23-ში და რუსთაველის ქ. N97) ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	201,740
15	ქ. ახალციხეში კოსტავას ქ. N17-ში, N19-ში და რუსთაველის ქ. N20-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.	28,728

სტიქიის პრევენცია

1	სოფ: წინუბანი, გურკელი, აგარა, ზიკილია, მუგარეთი - სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაცია.	894,894
2	ქ. ახალციხეში ბაღინაშვილის და სამსონიძის ქუჩის რეაბილიტაცია.	512,212
1	ქალაქ ახალციხეში მლაშიხევის (არსებული კოლექტორიდან წმ. დავითისა და კონსტრანტინეს ქუჩამდე) არხის მოწყობა.	657,340
	ამბულატორიები	
1	სოფელ ურაველში ამბულატორიის მშენებლობა.	114,550
2	სოფელ კლდეში ამბულატორიის მშენებლობა.	106,961
3	სოფელ ღრელის ამბულატორიის მშენებლობა.	85,225
4	სოფელ საძელის ამბულატორიის მშენებლობა.	104,397
5	სოფელ აგარაში ამბულატორიის მშენებლობა.	95,647
6	სოფელ თისელში ამბულატორიის მშენებლობა.	80,340
7	სოფელ ხეოთში ამბულატორიის მშენებლობა.	87,368
8	სოფელ სხვილისში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია.	61,084
	სკოლები	
1	ქალაქ ახალციხის N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.	238,967
1	ქალაქ ახალციხის N6 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.	62,884
2	სოფელ ურავლის სკოლის რეაბილიტაცია.	44,398
3	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდის საჯარო სკოლის № 02/1 სასწავლო კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	26,800
4	სოფელ აწყურის საჯარო სკოლის სასწავლო შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	17,929
5	სოფელ აწყურის საჯარო სკოლის სასწავლო შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	26,942
6	სოფელ აწყურის საჯარო სკოლის სასწავლო შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	13,863
7	სოფელ წყრუთის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	32,245
8	სოფელ საყუნეთის საჯარო სკოლის გარე სან. კვანძის მოწყობა	30,275
9	სოფელ აგარის, ზიკილიის საჯარო სკოლის გარე სან. კვანძის მოწყობა	29,707
10	სოფელ მინაძის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	5,848
11	ქ. ვალის № 2 საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის მოწყობა	36,778
12	ქ. ვალის № 2 საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის მოწყობა	31,643
13	სოფელ წნისის საჯარო სკოლის გარე სან. კვანძის მოწყობა	31,979
14	სოფელ ანის საჯარო სკოლის სასწავლო შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	15,550

15	სოფელ სვირის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	13,617
16	№5 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსიის (№ 02/2) სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია	31,189
17	ქალაქ ახალციხის №5 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსიის ეზოში არსებული ღობის რეაბილიტაცია	11,508
მთის ფონდი		
1	ურაველი-აგარის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.	1,487,718